

სავარჯიშო მტაცებლისა და მსხვერპლის ურთიერთობები

- მიზანი: მოსწავლეებს ეცოდინებათ მსხვერპლისა და მტაცებლის ურთიერთობების შესახებ ველურ ბუნებაში
- მასალა: ორი თავსაფარი ან ყელსახვევი თვალების ასახვევად
- თემატური სფეროები: მეცნიერება და ტექნოლოგიები, ფიზიკური ვარჯიში, სამსახიობო ხელოვნება, ენა
- საკვანძო სიტყვა: მსხვერპლი, მტაცებელი
- ხანგრძლივობა: 30 წუთი


სავარჯიშოს მიმდინარეობა

- აირჩიეთ ორი ბავშვი: ერთი იქნება ფიტოპლანქტონი, მეორე - ზოოპლანქტონი
- სანამ სავარჯიშოს შემდეგ ეტაპზე გადახვალთ, ბავშვებს მოკლედ შეახსენეთ რა არის ფიტოპლანქტონი და ზოოპლანქტონი:

პლანქტონი წყლის ერთუჯრედიანი ორგანიზმებია, რომელთაც წყლის დინება გადაადგილებს. მცენარეული წარმოშობის პლანქტონს **ფიტოპლანქტონი** ეწოდება, ცხოველური წარმოშობისას - **ზოოპლანქტონი**.

ბავშვებისთვის

- დანარჩენებს სთხოვეთ, წრეში ჩადგნენ და ერთმანეთს ხელები ჩასჭიდონ. უთხარით, რომ ზღვის არსებები არიან, ოღონდ არა ფიტო- და ზოოპლანქტონი.
- ფიტო- და ზოოპლანქტონი წრის შუაგულში დააყენეთ და თვალეები ისე აუხვიეთ, რომ გარშემო ვერაფერს ხედავდნენ.
- ბავშვებს განუმარტეთ თამაშის წესები, რომ ზოოპლანქტონი მონადირეა და თავის მსხვერპლს ეძებს. ფიტოპლანქტონი კი მისგან დასხლტომას ცდილობს. ყოველ ჯერზე, როცა ზოოპლანქტონი ფიტოპლანქტონს ჰკითხავს, „სად ხარ?“, ფიტოპლანქტონმა უნდა უპასუხოს, „აქ ვარ!“. მან უნდა შეიმუშავოს ზოოპლანქტონისგან თავის დაღწევის „სტრატეგია“. არ უნდა დაუშვათ, რომ ფიტოპლანქტონი და ზოოპლანქტონი წრის მიღმა აღმოჩნდნენ.
- თვალახვეული ფიტოპლანქტონი და ზოოპლანქტონი წრის შუაგულში ერთმანეთისგან მოშორებით დააყენეთ და დაიწყეთ თამაში.
- აუცილებლად გააფრთხილეთ, რომ ზოოპლანქტონი შეეკითხოს ფიტოპლანქტონს, „სად ხარ?“, ფიტოპლანქტონმა კი აუცილებლად უპასუხოს, „აქ ვარ!“. თამაში დამთავრდება, როცა ზოოპლანქტონი ფიტოპლანქტონს დაიჭერს. ამის შემდეგ სხვა ორი ბავშვი აარჩიეთ და თამაში განაგრძეთ.



სადისკუსიო კითხვები

- რა მოხდება, თუ ზოოპლანქტონი ფიტოპლანქტონს ვერ დაიჭერს?
- რა თვისებები დაეხმარება ზოოპლანქტონს ფიტოპლანქტონის დაჭერაში?
- რა თვისებები დაეხმარება ფიტოპლანქტონს ზოოპლანქტონისგან თავის დაღწევაში?
- შეიძლება მცენარე იყოს მსხვერპლი ან მტაცებელი?
- შეიძლება ცხოველი ერთდროულად მსხვერპლიც იყოს და მტაცებელიც? დაასახელეთ მაგალითი.

ნასწავლის შემოწმება

- დაასახელეთ მსხვერპლისა და მტაცებლის ურთიერთობის მაგალითები შავ ზღვაში (თითო ბავშვმა ერთი მაგალითი მაინც უნდა დაასახელოს).